ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 4

1990

უზენაესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 4 (597) აპრილი 1990 წელი

ს ა რ ჩ ე ლ ი

განყოფილება პირველი

87. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვის დროებით შეწყვეტის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 30 იანვრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

88. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ა. ბ. ფრეიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

89. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ქართული ენის დღის“ დაწესების შესახებ.

90. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ.

91. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ დაწესების შესახებ.

92. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მისანიჭებლად წარდგენისა და ჯილდოს გადაცემის წესის შესახებ.

93. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეებისა და პრეზიდიუმების დროებითი დებულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

94. **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ** მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

95. **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს** სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

96. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლ. ბ. ძარშანიასთვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

97. **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. პ. ოქროპირიძე**სათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

98. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. გ. რევაზიშვილ-სათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

99. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ბ. ა. სვანიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

100. **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თ. ნ. წიკლაურის**თვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

101. **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი. ნ. ჭიაურელისთვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.**

102. **საქართველოს** სსრ **უზენაესი** საბჭოს **პრეზიდიუმის ბრძანებულება** რ. ა. ჯანიაშვილისთვის„ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

103. **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს** პრეზიდიუმის **ბრძანებულება** ვ. ა. ჯულუხაძისთვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

104. **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს** პრეზიდიუმის **ბრძანებულება საქართველოს** სსრ **უზენაესი საბჭოს** პრეზიდიუმის **საპატიო** სიგელით **დაჯილდოების** შესახებ.

105. **საქართველოს** სსრ **უზენაესი** საბჭოს **პრეზიდიუმის ბრძანებულება** ე. დ. ხაკონოვის მედლით „სახოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების **შესახებ.**

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

87 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვის დროებით შეწყვეტის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 30 იანვრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 30 იანვრის დადგენილება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვის დროებით შეწყვეტის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 3 **აპრილი.**
№ 2583—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

88 ა. გ. ფრუიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამირან ბაკოს ძე **ფრუიძე** საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 6 აპრილი.
№ 2585—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

89 „ქართული ენის დღის“ დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაწესდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში „ქართული ენის დღე“.

ამ დღედ გამოცხადდეს 14 აპრილი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2603—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

90 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) შემდეგი დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 98[1] მუხლი:

„მუხლი 98[1]. ზხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა

ზხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციაში ნიტრატებისა და პესტიციდების ნარჩენების ნორმაზე მეტი ოდენობით დაგროვება, აგრეთვე ასეთი პროდუქციის რეალიზაცია, —

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას ორმოცდაათი მანეთით, თანამდებობის პირთა — ასი მანეთით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონფისკაციით.

შენიშვნა: კონფისკებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც შეიცავს ნორმაზე მეტი ოდენობით ნიტრატებს, თუ პესტიციდებს, უნდა განადგურდეს“.

2. 295-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„ამ კოდექსის 98[1] მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პროდუქციის კონფისკაციას ახდენს და სამართალდამრღვევის ხარჯზე გაანადგურებს სოფლის მე-

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეობის ხარისხზე კონტროლის განმხორციელებელი საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 19 აპრილი.
№ 2610—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

91 საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“.

2. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“ მიენიჭებათ დედებს, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი, აქვთ მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდიან მაღალი ზნეობის, შრომისმოყვარე შვილებს.

3. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ შესახებ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 25 აპრილი.
№ 2615—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1990 წლის 25 აპრილის
ბრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ შესახებ

1. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“ მიენიჭებათ დედებს, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი და თუ ბოლო შვილს შეუსრულდა ერთი წელი მაინც, აქვთ მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდიან მაღალი ზნეობის, შრომისმოყვარე შვილებს.

საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ მინიჭებისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული შვილი.

2. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედას“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მიანიჭებს მრავალშვილიან დედებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შუამდგომლობითა და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების წარდგენით.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ მქონე დედა სარგებლობს საცხოვრებელი ბინის, სოფელ ადგილებში საკარმიდამო ნაკვეთის ურიგოდ მიღების, ასევე სკოლამდელ დაწესებულებაში შვილის სახელმწიფოს ხარჯზე შენახვის უფლებით.

4. დედებს, რომელთაც მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება უწევს მატერიალურ დახმარებას მის ანგარიშზე რესპუბლიკაში „დედის დღის“, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებათა შედეგად გამომუშავებული და შემოსული თანხით.

5. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედა“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩამოერთმევა პირს, თუ მას მსჯავრი დაედო დანაშაულისათვის, ან ჩაიდინა მშობლის, აღმზრდელისა და მეუღლის სახელის გამტეხი ქმედება.

6. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართვლის დედის“ მქონე დედებისა და სხვა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების მიზნით გაწეული საქმიანობის შესახებ სისტემატურად აწოდებს ინფორმაციას ფართო საზოგადოებრიობას და აღნიშნული მუშაობის შედეგებს ყოველწლიურად მოახსენებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

მეუ ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

92 საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მინიჭებლად წარდგენისა და ჯილდოს გადაცემის წესის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ინსტრუქცია საქართველოს სსრ საპატიო წოდება ქართველის დედის“ მისანიჭებლად წარდგენისა და ჯილდოს გადაცემის წესის შესახებ.
2. დამტკიცდეს დაჯილდოების ფურცლის ნიმუში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 25 აპრილი.
№ 2616—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1990 წლის 25 აპრილის
დადგენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მისანიჭებლად წარდგენისა და ჯილდოს გადაცემის წესის შესახებ

1. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედა“ მიენიჭებათ დედებს, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი და თუ ბოლო შვილს შეუსრულდა ერთი წელი მაინც, აქვთ მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდიან მაღალი ზნეობის, შრომისმოყვარე შვილებს.

საპატიო წოდების მინიჭებისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული შვილი.

2. მრავალშვილიანი დედების ზემოაღნიშნულ საპატიო წოდებაზე წარდგენა ხდება სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ხოლო ქალაქად — საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის იმ ცნობათა საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ დედასთან მცხოვრები შვილების რაოდენობას.

დედისაგან ცალკე მცხოვრები შვილების არსებობა დასტურდება შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობით. ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ ვითარებაში დაღუპულ შვილზე ცნობას ან სხვა საბუთს წარადგენენ მილიციის განყოფილებიდან.

3. შუამდგომლობას მრავალშვილიანი დედისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ აღძრავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

შუამდგომლობას სოფლის, დაბის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი დედისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ აღძრავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

4. მრავალშვილიანი დედის დასაჯილდოებლად წარდგენილი საბუთების მომზადება, მასალების მომზადება და გაფორმება სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად ეკისრებათ სოციალური უზრუნველყოფისა და სახალხო განათლების განყოფილებებს.

5. სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს საკითხს მრავალშვილიანი დედის დასაჯილდოებლად წარდგენის შესახებ ბოლო შვილის ერთი წლის ასაკის შესრულების შემდეგ. თავის გადაწყვეტილებას, ცნობებს ოჯახის შემადგენლობის, შვილების აღზრდისადმი დედის დამოკიდებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ და დედის ერთ ფოტოსურათს უგზავნის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

6. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ავსებს დაჯილდოების ფურცელს მრავალშვილიანი დედის საპატიო წოდებაზე წარსადგენად და სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად, წარმოდგენილი საბუთების შემოწმების შემდეგ, მრავალშვილიანი დედის დაჯილდოების ფურცელს, სასოფლო, სადაბო, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას თავის წინადადებებთან ერთად განსახილველად წარუდგენს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

7. სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს მასალებს მრავალშვილიანი დედის დასაჯილდოებლად წარდგენის შესახებ, შეაქვს თანხმობის შესახებ ჩანაწერი დაჯილდოების ფურცელში და გაფორმებულ მასალებს გადასცემს შესაბამის დემოგრაფიულ საზოგადოებას.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია თავი შეიკავოს დაჯილდოებისაგან შვილების აღზრდისადმი მრავალშვილიანი დედის არასწორი დამოკიდებულების შემთხვევაში. მისი გადაწყვეტილება ეცნობება დედას.

8. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მისანიჭებლად თითოეულ წარსადგენ პირზე ივსება დაჯილდოების ფურცელი. დაჯილდოების ფურცელში მითითებულია დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედის გვარი, სახელი, მამის სახელი — მისი პიროვნების დამადასტურებელი საბუთის მიხედვით, პროფესია ან თანამდებობა, იმ საწარმოს, გაერთიანების, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული დასახელება, რომელშიც ის მუშაობს.

დაჯილდოების ფურცელი შეიცავს მონაცემებს შვილების შესახებ, რომელსაც ხელმოწერებითა და ბეჭდებით ამოწმებს სახალხო დეპუტატთა საბადო, სასოფლო ან რაიონული დაქვემდებარების ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება.

დახასიათებაში ვრცლად არის მოცემული დედის, მამის და შვილების საქმიანობა, შვილების აღზრდისადმი დედის დამოკიდებულება; მას ხელმოწერებითა და ბეჭდებით ამოწმებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგე და შესაბამისი დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.

დაჯილდოების ფურცელს ავსებენ საბეჭდი მანქანით; მასში ზუსტად და მკაფიოდ უნდა შეიტანოს ყველა გრაფა.

9. მასალებს მრავალშვილიანი დედისათვის ზემოაღნიშნული საპატიო წოდების მინიჭების შესახებ (დაჯილდოების ფურცელი, ერთი ფოტოსურათი 3×4) ქალაქის, რაიონის დემოგრაფიული საზოგადოებები უგზავნიან საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც თავის მხრივ განიხილავს მათ და ამზადებს წარდგინებას საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მინიჭების შესახებ.

10. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მინიჭების შესახებ გამოსცემს ბრძანებულებას, რომელიც საყოველთაო გაცნობისათვის ქვეყნდება „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებებსა“ და პრესაში.

11. იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედა“, გადაეცემათ დადგენილი ნიმუშის სიგელი.

12. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მინიჭების შესახებ სიგელი დაჯილდოებულ დედას გადაეცემა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელითა და დავალებით საზეიმო და ფართო საჯაროობის ვითარებაში.

13. საქართველოს სსრ საპატიო წოდება „ქართველის დედის“ მინიჭების შესახებ სიგელს გადასცემენ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, წევრები, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები, ამ ავტონომიური რესპუბლიკების დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარეები, მოადგილეები, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეები, შესაბამისი დემოგრაფიული საზოგადოებების თავმჯდომარეები და საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირნი.

ჯილდო გადაეცემა პირადად დაჯილდოებულ დედას არა უგვიანეს ერთი თვისა ბრძანებულების მიღებიდან.

14. მრავალშვილიანი დედებისათვის ჯილდოების გადაცემის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ჯილდოს გადამცემი პირი და იგი მოწმდება ბეჭდით. ოქმი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში წარდგენილ უნდა იქნეს ჯილდოს გადაცემიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

15. გარდაცვლილი დაჯილდოებული დედის სიგელი რჩება ან გადაეცემა ოჯახს სამახსოვროდ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

93 სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეებისა და პრეზიდიუმების დროებითი დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეებისა და პრეზიდიუმების დროებითი დებულება.

2. დროებითი დებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მისი მიღების დღიდან.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 29 აპრილი.
№ 2620ა—XI

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეებისა და პრეზიდიუმების

დროებითი დებულება

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების მუშაობას ორგანიზაციას უწევენ მათი პრეზიდიუმები, რომელთაც სათავეში უდგანან საბჭოების თავმჯდომარეები, ხოლო საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობას — ამ საბჭოების თავმჯდომარეები.

საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, სახალხო დეპუტატთა რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა პარიტეტულ საფუძველზე შეიძლება შექმნან ერთობლივი პრეზიდიუმი, რომელსაც ექნება ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა უფლება.

მუხლი 2. სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევენ საბჭოს სესიაზე დეპუტატთა რიცხვიდან საბჭოს უფლებამოსილების ვადით. კენჭისყრის წესს ადგენს საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარე უძღვება საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებს, ხელს აწერს საბჭოსა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს.

მთელ თავის საქმიანობაში საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე და შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან საბჭოს პრეზიდიუმის ინიციატივით ან საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით. საბჭოს თავმჯდომარე განთავისუფლებულად ითვლება თუ ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა საბჭოს მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. კენჭისყრის წესს ადგენს საბჭო.

მუხლი 3. საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სახალხო დეპუტატთა საბჭო დეპუტატთა რიცხვიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის თავმჯდომარეს მისი არყოფნის ან თავმჯდომარის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში. კენჭისყრის წესს ადგენს საბჭო.

მუხლი 4. სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოა.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან: საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები.

სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე საბჭოს დეპუტატად არჩევის შემთხვევაში თანამდებობით შედის საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში, ხოლო თუ დეპუტატი არ არის, პრეზიდიუმის სხდომებში მონაწილეობს სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს გადაწყვეტილებით პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნენ საბჭოს სხვა დეპუტატებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 5. საბჭოს პრეზიდიუმი მისი თავმჯდომარის მეთაურობით, ხოლო ქალაქის (რაიონული დაქვემდებარების ქალაქის), სადაბო და სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე:

1) იწვევს საბჭოს სესიას, აცნობებს დეპუტატებს და ატყობინებს მოსახლეობას სესიის ჩატარების დროსა და ადგილს, აგრეთვე განსახილველ საკითხებსა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

2) ხელმძღვანელობს საბჭოს სესიისა და მის განსახილველად შესატან საკითხთა მომზადებას;

3) წარმოადგენს საბჭოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

3) მოახსენებს საბჭოს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, აცნობებს საბჭოს თავისი საქმიანობის თაობაზე;

5) წარუდგენს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, სახალხო კონტროლის კომიტეტის (ჯგუფის) თავმჯდომარის და წევრების კანდიდატურების ასარჩევად, აგრეთვე მოსამართლეების კანდიდატურებს, რომლებიც კანონის თანახმად არჩეული უნდა იქნენ შესაბამისი საბჭოს მიერ;

6) შეაქვს საბჭოს განსახილველად წინადადებანი მუდმივი კომისიების შექმნისა და მათი შემადგენლობის შესახებ, კოორდინაციას უწევს მუდმივი კომისიებისა და სადეპუტატო ჯგუფების საქმიანობას;

7) მეთოდურ დახმარებას უწევს ქვემდგომ საბჭოებს, ხელს უწყობს დეპუტატებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში და უზრუნველყოფს მათ საჭირო ინფორმაციით. განიხილავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოში, მის ორგანოებში, აგრეთვე საარჩევნო ოლქებში სამუშაოდ დეპუტატის სამსახურებრივი მოვალეობისაგან განთავისუფლებასთან. ხელს უწყობს დეპუტატებს მოქალაქეთა მიღებაში, აგრეთვე ამომრჩევლების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე ანგარიშის მოწყობაში; შეაქვს სესიაზე დეპუტატთა უფლება-მოვალეობების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;

8) ორგანიზაციას უწევს ამომრჩეველთა განაწესების განზოგადებას და შეაქვს ისინი საბჭოს განსახილველად;

9) ხელს უწყობს საჯაროობის განვითარებას და იღებს ზომებს საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეთა გაერთიანებების, მოძრაობების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ფორმირებების აზრის გასათვალისწინებლად;

10) ორგანიზაციას უწევს სახალხო დეპუტატთა საბჭოების ურთიერთმოქმედებას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომით კოლექტივებთან;

11) საბჭოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად აწყობს ადგილობრივ რეფერენდუმებს, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ საბჭოს გადაწყვეტილებათა პროექტების, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვას;

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

12) შეაქვს საბჭოს სესიებზე წინადადებანი მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების გამო აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კონტროლის კომიტეტის (ჯგუფის) გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის შესახებ;

13) ახორციელებს კონტროლს საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

14) განიხილავს და წყვეტს კანონმდებლობით მასზე დაკისრებულ საკითხებს არჩევნების მოსაწყობად და ამომრჩევლების მიერ სახალხო დეპუტატების გასაწვევად.

საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), სადაბო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები შესაბამისი საბჭოების მუშაობას ორგანიზაციას უწევენ მათი მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს იწვევს საჭიროების შემთხვევაში. სხდომებში მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ დეპუტატებს, რომლებიც არ შედიან პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

მუხლი 7. საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გამო მიიღება პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს თავისი პრეზიდიუმის გადაწყვეტილება.

საბჭოს პრეზიდიუმის და აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სახალხო დეპუტატთა საბჭო.

მუხლი 8. სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმს აქვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის საქართველოს სსრ გერბიანი ბეჭედი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში — ამ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების მიერ დამტკიცებული ნიმუშის ბეჭედი.

მუხლი 9. სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის საქმიანობის მომსახურებას უზრუნველყოფს საბჭოს აპარატი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე.

მუხლი 10. სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო საქართველოს სსრ კანონმდებლობის თანახმად განსაზღვრავს პრეზიდიუმის აპარატის სტრუქტურასა და შტატებს, აპარატის მუშაკების, დეპუტატების, აგრეთვე საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დავალებათა შესასრულებლად მოწვეულ პირთა შრომის ანაზღაურების წესს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

94 **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდაში წვლილისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება:

გივი შალვას ძე **კვანჭახაძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანპიგიენური ფაკულტეტის დეკანს, პროფესორს.

ზურაბ ალექსანდრეს ძე **ჭილაძეს** — თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2595—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

95 **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საოპერო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში დიდი წვლილისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაკებს:

იმერი დავითის ძე **კავსაძეს** — სოლისტს.

თამაზ იაკობის ძე **ლაფერაშვილს** — სოლისტს.

გურამ თომას ძე **მელივას** — სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილეს.

ანზორ ანტონის ძე **შომახიას** — სოლისტს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2594—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

96 ლ. ბ. მარშანიასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორს პროფესორ ლორიკ ბესარიონის ძე **მარშანიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2601—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

97 ნ. ბ. ოქროპირიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შემოქმედებითი გაერთიანება „საქტელეფილმის“ დამდგმელ მხატვარს ნელი პეტრეს ასულ **ოქროპირიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.**
საქართველოს სსრ **უზენაესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2593—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

98 ბ. ბ. რევაზიშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და ახალგაზრდა თაობის ესთეტიკურად აღზრდაში **თვალსაჩინო** წვლილისათვის **მოზარდ** **მაყურებელთა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

15645

სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობს გიორგი (გელა) გიორგის ძე **რევაზიშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2599—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

99 გ. ა. სვანიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ცეკვის დამსახურებულ ანსამბლ „გორდას“ ხელმძღვანელს გესარიონ ანტიფოს ძე **სვანიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2597— XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

100 თ. ნ. ფიკლაურისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ოვერიის“ სოლისტს თეიმურაზ ნერსესის ძე **ფიკლაურს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2598—XI

საქ. სსრ კ. მარქ. სახ. სახ. რესპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

101 **ი. ნ. ჭიაურელისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიჟორს ირაკლი ნიკოლოზის ძე **ჭიაურელს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2602—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

102 **რ. ა. ჯანიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებასა და პროპაგანდაში წვლილისათვის მოსკოვის ბაბუშკინის რაიონის ბავშვთა ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია „ივერიის“ და ახალგაზრდულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელს რევაზ ალექსანდრეს ძე **ჯანიაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ბუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2596—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

103 **ვ. ა. ჯულუხაძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საბალეტო ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილისათვის თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრის ბალეტის მსახიობს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ჯულუხაძეს მიეხმაროს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 12 აპრილი.
№ 2600—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

104 საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ომის ვეტერანთა ორგანიზაციებში აქტიური, ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საქმეში წვლილისათვის და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 45-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

რიპატ მევლუდის ძე **ართმელაძე**
კუზმა ანტონის ძე **გავრილოვი**
იოსებ ბესარიონის ძე **გვირგვლიანი**
ივანე ნიკოლოზის ძე **გვენცაძე**
პანტელეიმონ ივანეს ძე **გიორგაძე**
აგასი ეგნატეს ძე **გოჩოიანი**
ალექსანდრე გრიგოლის ძე **გულიევი**
მუხტარ სიმონის ძე **ელბაქიძე**
ბორის ნიკოლოზის ძე **ვინოგრადოვი**
შოთა ივანეს ძე **ზარდალიშვილი**
ბორის ზაქარიას ძე **ზუმბელიძე**
რობერტ გერონტის ძე **თავაძე**
ალექსანდრე მიქტატის ძე **თარია**
გიორგი ივანეს ძე **თვაური**
ალექსი ნიკოლოზის ძე **ინაური**
ივანე ვასილის ძე **ინდრიაკოვი**
ნიკოლოზ ივანეს ძე **კალაძე**
კონსტანტინე ერემიას ძე **კეთილაძე**
შალვა დავითის ძე **კიკნაძე**
ვასილ ანდრიას ძე **კიხტენკო**
ალექსი ნეფედის ძე **კლიუევი**
გრიგოლ დიმიტრის ძე **კოკოზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ივანეს ძე **კრამარენკო**
ვიქტორ სპირიდონის ძე **მირონიუკი**
ვახტანგ იასონის ძე **მურუსიძე**
არტემ პავლეს ძე **ნავალოვი**
ოთარ მელქისედექის ძე **ნაჭყებია**
გალაქტიონ ათანასეს ძე **პაიჭაძე**
ანატოლი სიმონის ძე **პისტუნოვიჩი**
ალექსანდრე ფილიპეს ძე **რამიშვილი**
დიმიტრი დავითის ძე **რაზმაძე**
გრიგოლ თევდორეს ძე **სურამელაშვილი**
ილია ნესტორის ძე **ტიკაძე**
ალექსი ვასილის ძე **ტროშინი**
კირილე ნიკიფორეს ძე **უკლება**
ივანე დიმიტრის ძე **შაიშმელაშვილი**
ალექსანდრე მარკოზის ძე **შულაია**
შოთა იოსების ძე **შურღაია**
ვასილ დიანოზის ძე **ჩალაძე**
ემანუილ ვარდგესის ძე **ჩილხაჩოლიანი**
ირაკლი ნიკოლოზის ძე **ციციშვილი**
ვლადიმერ ამბაკოს ძე **ძნელაძე**
პლატონ ლუკას ძე **წიქორიძე**
პავლე გიორგის ძე **ხარებოვი**
ალექსი ვასილის ძე **ხუხრინი**
თენგიზ ივანეს ძე **ჯაფარიძე**
ნიკოლოზ უშანგის ძე **ჯაში**
ირაკლი ივანეს ძე **ჯორჯაძე.**

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 24 აპრილი.
№ 2614—XI

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

105 ე. დ. ხაკონოვის მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში გამბედაობის, მამაცობისა და საზრიანობისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს ჯა-

მუნ. ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ნაწილის განყოფილების მეთაური ედუარდ დავლეთბიეს ძე ხაკონოვი დაჯილდოვდეს მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 27 აპრილი.
№ 2621—XI

განკოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 და 27 აპრილის ბრძანებულებებით:

ცაგერის რაიონის ორბელის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ლესინდი და დაექვემდებარა ლასურიაშის სასოფლო საბჭოს;

გურჯაანის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოსა და სოფელ შრომას გადაერქვა სახელი და ეწოდა შესაბამისად ვაჩნაძიანის სასოფლო საბჭო და სოფელი ვაჩნაძიანი;

ახალქალაქის რაიონის აზავრეთის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ტურცხი და შეიქმნა ტურცხის სასოფლო საბჭო;

დამტკიცდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ 1990 წლის 29 მარტს განხორციელებული ბოლის სასოფლო საბჭოს სოფელ დოლიანის გაუქმება.

მესტიის რაიონის იფარის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები იელი და წვირმი და მათ ბაზაზე შეიქმნა წვირმის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ წვირმში.

ადიგენის რაიონის ლელოვნის სასოფლო საბჭოს სოფელ ყარათუბანს ეწოდა სოფელი იმერთუბანი; ამბროლაურის რაიონის ველევის სასოფლო საბჭოს სოფელ კორტს — სოფელი კვირიკეწმინდა, ხოლო ზუგდიდის რაიონის ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოს და სოფელ ორჯონიკიძეს — ყულიშკარის სასოფლო საბჭო და სოფელი ყულიშკარი.